


**საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შეთანხმებით
ადებული ჩარჩო დირექტივების შესასრულებლად ენერგეტიკული
რესურსების გამოყენება COVID-19 პანდემიის პირობებში;**

**საქართველოს ენერგეტიკული რესურსების ეფექტიანად გამოყენების ასოციაცია
ავტორები: ანზორ დუნდუა, ნუგზარ უფლისაშვილი**



საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შეთანხმებით აღებული ჩარჩო დირექტივების შესასრულებლად ენერგეტიკული რესურსების გამოყენება COVID-19 პანდემიის პირობებში;

საქართველოს ენერგეტიკული რესურსების ეფექტიანად გამოყენების ასოციაცია
ავტორები: ანზორ დუნდუა, ნუგზარ უფლისაშვილი

რეზიუმე

საქართველოსა და ევროკავშირს შორის დადებული და 2014 წელს ამოქმედებული ასოცირების შესახებ შეთანხმება ქვეყანას მრავალი გამონწვევის წინაშე აყენებს. ნაკისრი ვალდებულებების დიდი ნაწილი სწორედ 2020 წლის საარჩევნო ციკლის პერიოდში უნდა შესრულდეს, რაც საქართველოს ევროპასთან მნიშვნელოვნად დაახლოებს. ამიტომ, ხელშეკრულებით აღებული ვალდებულებების შესრულების პროცესი – პოლიტიკური დღის წესრიგის განუყოფელი ნაწილია. გამონწვევებს შორის ერთ–ერთი ყველაზე რთულად გადასალახი აღმოჩნდა მიმდინარე წლის დასაწყისში მსოფლიოში (და მათ შორის ჩვენთან) მოულოდნელად გავრცელებული COVID-19 პანდემია, რომლის გავრცელების აღსაკვეთად საქართველომ მიიღო დროული და ეფექტური ზომები. პანდემიის გამო მნიშვნელოვნად შეჩერდა ქვეყანაში მიმდინარე ყველა ეკონომიკური აღმშენებლობითი პროცესი, შესაბამისად შენელდა ასოცირების შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ტემპი. თითქმის ყველა ენერგეტიკული ობიექტის ადმინისტრაციული პერსონალი გადაყვანილ იქნა მუშაობის ონლაინ–რეჟიმში.

Resume

The agreements on associate membership between the European Union and Georgia, which came into force in 2014, pose many challenges for the country. Of the commitments made, which will significantly bring Georgia closer to the European Union, the majority should be fulfilled in the pre-election year 2020. Therefore, the commitments me, including on energy, have a political component. Of the tasks and challenges to be fulfilled, one of the most difficult was the COVID-19 pandemic that broke out in the world at the beginning of the year, which also affected our country. The government of Georgia has taken timely and effective measures to prevent its development. The pandemic has significantly slowed down economic processes and reduced the pace of implementation of commitments. The operation of almost all energy facilities was switched to online mode. By A government decree, individual consumers of electricity less than 200 kWh

per month and gas less than 200 m³ per month were exempted from payment for three months as social assistance. Due to the pandemic, the implementation of Georgia's commitments to associate membership in the European Union has slowed down. The goal of our platform is to present our vision to the government to achieve the goals set out in the agreement.

შესავალი

საკუთარი გაზისა და ნავთობპროდუქტების არ არსებობის გამო ქვეყანა სრულიად იმპორტზეა დამოკიდებული, ამიტომ საქართველო შესაბამისი ენერგეტიკული პოლიტიკის გატარებას საჭიროებს. მთავრობასა და კერძო კომპანიების წინაშე დგას ამოცანა: ოპტიმალურად გაანაწილოს არსებული რესურსები, ინტენსიურად დანერგოს ენერჯის ალტერნატიული წყაროები და გამოიყენოს ენერგოდამზოგი ტექნოლოგიები.

ზოგადად ცნობილია, რომ ერთ მოსახლეზე ელექტროენერჯის წლიური მოხმარება ქვეყნის ეკონომიკური სიძლიერის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინდიკატორია. იმ დროს, როდესაც განვითარებულ ქვეყნებში, რომლებშიც როგორც საწარმოო სექტორში, ასევე ყოფა-ცხოვრებაში დანერგილია თანამედროვე ენერგოეფექტური ტექნოლოგიები და ხელსაწყოები, ეს მაჩვენებელი 8-12 ათასს და უფრო მეტ კილოვატსაათს შეადგენს, საქართველოში მხოლოდ 1,7-1,9 კილოვატსაათის დონეზეა. ეს კი საქართველოს ეკონომიკის მდგომარეობის უკიდურესად დაბალ დონეზე მიუთითებს.

ენერგეტიკა საკმაოდ ინერციული დარგია და მისი განვითარება (განსაკუთრებით მაგენერირებელი სიმძლავრეებისა) დიდ დროსა და სახსრებთან არის დაკავშირებული. ამიტომ მსოფლიოში მიღებულია, რომ ენერგეტიკა წინმსწრები ტემპით უნდა ვითარდებოდეს, რათა იგი მზად დახვდეს ენერგორესურსებზე ეკონომიკისა და მოსახლეობის მზარდ მოთხოვნილებას და არც ერთ ეტაპზე არ გახდეს ეკონომიკის განვითარების დამამუხრუჭებელი ფაქტორი. ენერგეტიკის განვითარების პროცესში გათვალისწინებული უნდა იყოს სარეზერვო სიმძლავრეების მშენებლობაც, რათა ენერგოსისტემაში ავარიული სიტუაციების დროს თავიდან იქნას აცილებული საწარმოო ობიექტებისა და ორგანიზაციების ხანგრძლივი გამორთვა, რაც, თავის მხრივ, ძალზე დიდი ზარალის მომტანი შეიძლება გახდეს. დიდი სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობას, როგორც წესი, 8–10 წლამდე და უფრო მეტი დრო სჭირდება. საქართველოში კი ეს ვადა კიდევ უფრო გახანგრძლივებულია, რადგან ნებისმიერი სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციების დაუსაბუთებელი პრეტენზიების გამო შესაძლებელი ხდება ქვეყნის ეკონომიკური წინსვლისათვის აუცილებელი ობიექტების მშენებლობის გაურკვეველი ვადით შეჩერება ან სულაც ლიკვიდაცია. ენერგეტიკის არსებული მდგომარეობა საფრთხეს უქმნის ქვეყნის მდგრად განვითარებას და უსაფრთხოებას. საჭიროებს ახალ სახელმწიფო პოლიტიკას:

ენერგეტიკული უსაფრთხოების გამოწვევები: ელექტროენერჯის მზარდი იმპორტი და ინფრასტრუქტურის ჩამორჩენა; გაზის მონოპოლიურ მომწოდებელზე დაუბალანსებელი დამოკიდებულება; ენგურჯესის გვირაბის ტექნიკური მდგომარეობა და აფხაზეთში მზარდი გადაუხდელი მოხმარება; კიბერუსაფრთხოება, რეგიონული სატრანზიტო პროექტების განვითარება, საცავები და მედეგობის განვითარება, კლიმატისადმი მედეგობა, ენერგოეფექტიანობა და განახლებადი ენერჯის წყაროების განვითარება მოითხოვს ენერგოუსაფრთხოების ახალი პოლიტიკის განხორციელებას.

ენერგეტიკის ეკონომიკა - არასახარბიელო საინვესტიციო გარემო იწვევს სტრატეგიული ინვესტიციების ნაკლებობას და დეველოპერებთან გადაჭარბებულ ვალდებულებებს მომავალი ბიუჯეტების ხარჯზე. სარგებლის მოტანის ნაცვლად ენერგეტიკა მოითხოვს სახელმწიფო ინვესტიციებს და სუბსიდიებს. პოპულისტური სატარიფო სუბსიდირება ზრდის არარაციონალურ მოხმარებას, აფერხებს ენერგოეფექტიანობის და განახლებადი ენერჯის განვითარებას. საჭიროა სწორი ტარიფები და მოწყვლადი მომხმარებლების მიზნობრივი დახმარება.



2019 წლის მონაცემებით ელექტროენერჯის მწარმოებელ მსოფლიოს 207 ქვეყნის ჩამონათვალში საქართველოს 92-ე ადგილი უკავია. უკანასკნელი 10 წლის მანძილზე ელექტროენერჯის წარმოების ზრდა ქვეყანაში საშუალოდ 2–3% და მეტს შეადგენდა. ასეთი ტენდენცია გათვალისწინებული იყო მიმდინარე წელსაც, რაც იანვარ–თებერვლის მონაცემებიდან ჩანს.

COVID-19 პანდემიის აფეთქების შემდეგ, ქვეყანაში ენერგორესურსების მოხმარება შემცირდა. ქვემოთ, გრაფიკებზე, მოცემულია ელექტროენერჯის მოხმარება 2020 წლის დასაწყისიდან და შედარება 2019 წელთან შესაბამისი 9 თვის განმავლობაში. მუნიციპალიტეტებთან კომუნიკაციის შედეგად ვერ მივიღეთ ენერგეტიკის მიმართულებით მოთხოვნილი ინფორმაცია და კითხვარებზე პასუხები. ასევე, რეკომენდაციების სახით, საქართველოს ევროკავშირის ასოცირებული წევრად მიღების ხელშეკრულების ფარგლებში და COVID-19 პანდემიის პირობებში, მოცემულია ჩვენი ორგანიზაციის ხედვა ქვეყნის მთავრობის მიერ შესასრულებელი ღონისძიებები.

ელექტრომომხმარება საქართველოში რეგიონების მიხედვით 2020 წ (COVID-19–ის პანდემიის პირობებში)
იანვარ – სექტემბრის თვეებში და შედარება 2019 წელთან.

პირდაპირი მომხმარებლების და რეგიონების ფაქტიური ელ.მომხმარების სტატისტიკა 2019/2020 წწ

იანვარი	პირდაპირი მომხმარებლები	თელასი	აფხაზეთი	სამხარაზლო	კახეთი	აჭარა	სამეგრელო	გურია	იმერეთი	რაჭა	მესხეთი	შიდა ქართლი	მცხეთა-მთიანეთი	ქვემო ქართლი	სულ "ენერგოპრო"	(მლნ კვტსთ) ჯამი
2019 წ.	143.7	269.3	252.0	17.7		52.2	50.6	9.7	112.7	10.0	28.2	32.4	23.1	127.0	480.7	1,146
2020 წ.	225.0	279.4	272.8	17.5	34.2	54.6	50.6	9.3	78.8	9.8	27.9	33.2	23.8	97.4	412.4	1,190
%	56.5%	3.8%	8.3%	-1.1%	3.9%	4.5%	0.0%	-3.7%	-30.1%	-2.4%	-1.1%	2.5%	3.0%	-23.3%	-14.2%	3.8%




აჭარა	სამეგრელო
52.2	50.6
54.6	50.6
4.5%	0.0%


ასოცირების შეთანხმებით აღებული ჩარჩო ღირებულებების შესასრულებლად: ... „ვალდებულებას იღებენ რა, გააძლიერონ ენერგორესურსების მიწოდების უსაფრთხოება, მათ შორის „სამხრეთის დერეფნის“ განვითარების მეშვეობით, *inter alia*, საქართველოში შესაბამისი პროექტების განვითარების წახალისების გზით, რაც ხელს შეუწყობს სათანადო ინფრასტრუქტურის განვითარებას, მათ შორის, საქართველოს გავლით ტრანზიტისთვის, ბაზრის ინტეგრაციის ზრდასა და ევროკავშირის კანონმდებლობის (*EU acquis*) ძირითად ელემენტებთან ეტაპობრივ რეგულაციურ დაახლოებას; აგრეთვე, ხელი შეუწყონ ენერგოეფექტურობის ზრდასა და განახლებადი ენერგორესურსების გამოყენებას;“ იანვრის ენერგომომხმარება, როგორც იყო

პირდაპირი მომხმარებლების და რეგიონების ფაქტიური ელ.მომხმარების სტატისტიკა 2019/2020 წწ

თებერვალი	პირდაპირი მომხმარებლები	თელასი	აფხაზეთი	სამხარაბლო	კახეთი	აჭარა	სამეგრელო	გურია	იმერეთი	რაჭა	მესხეთი	შიდა ქართლი	მცხეთა-მთიანეთი	ქვემო ქართლი	სულ "ენერგოპრო"	ჯამი
2019 წ.	128.8	240.8	221.2	14.9	31.3	44.5	46.8	9.1	103.8	9.7	27.4	30.7	24.5	125.7	445.4	1,036
2020 წ.	203.1	261.6	269.5	16.4	29.8	53.8	45.4	8.9	72.0	9.6	24.1	31.8	18.8	94.4	387.9	1,122
%	57.6%	8.6%	21.8%	10.3%	-4.8%	20.9%	-3.0%	-2.6%	-30.6%	-1.0%	-12.0%	3.6%	-23.3%	-24.9%	-12.9%	8.3%



1-2*)



აჭარა	სამეგრელო
44.5	46.8
53.8	45.4
20.9%	-3.0%


26 თებერვალს დადგინდა პირველი კორონა ვირუსით ინფიცირებული პირი საქართველოში. საქართველოს პრეზიდენტმა COVID-19-ის შემდგომი გავრცელების აღკვეთის მიზნით 2020 წლის 21 მარტიდან 2020 წლის 21 აპრილამდე ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობა შემოიღო. ენერგომომხმარებაზე რეგულა-ციები ჯერ არ მოქმედებდა და ელექტროენერჯის მოხმარების ზრდამ თებერვალში 8,3% შეადგინა. ამავდროულად, ქვეყანაში ასოცირების შეთანხმებით აღებული ჩარჩო ღირებულებების შესასრულებლად არ არის

პირდაპირი მომხმარებლების და რეგიონების ფაქტიური ელ.მომხმარების სტატისტიკა 2019/2020 წწ

მარტი

(მლნ.კვტსთ)

	პირდაპირი მომხმარებლები	თელავი	აფხაზეთი	სამხრეთი	კახეთი	აჭარა	სამეგრელო	გურია	იმერეთი	რაჭა	მესხეთი	შიდა ქართლი	მცხეთა-მთიანეთი	ქვემო ქართლი	სულ "ენერჯოპრო"	ჯამი
2019 წ.	153.8	252.9	242.0	15.7	33.8	52.7	50.0	9.7	110.7	9.8	32.5	33.4	23.3	135.2	488.3	1,137
2020 წ.	223.7	222.1	232.8	14.2	29.2	44.8	43.2	9.2	67.3	10.0	25.7	28.8	16.6	85.0	370.3	1,049
%	45.4%	-12.2%	-3.8%	-9.9%	-13.5%	-15.0%	-13.5%	-5.2%	-39.2%	1.5%	-21.1%	-13.8%	-28.8%	-37.1%	-24.2%	-7.8%




აჭარა	სამეგრელო
52.7	50.0
44.8	43.2
-15.0%	-13.5%

1-23 მარტის პერიოდში 2019 წლის იგივე პერიოდთან შედარებით ელექტროენერჯის მოხმარება საშუალოდ 9%-ით შემცირდა ტემპერატურის გათვალისწინებით (76%-ია კორელაცია ელექტროენერჯის მოხმარებასა და თბილისის საშუალო ტემპერატურას შორის), აღნიშნული ძირითადად კომერციული, საჯარო, ტრანსპორტის და მრეწვე-ლობის სექტორების აქტივობის მენეჯმენტის გამოიწვია, თუმცა პირდაპირი მომხმარებლები ჯერ კიდევ ბოლომდე არ შეჩერდნენ და გარკვეული დატვირთვით მუშაობდნენ.

1-3*)

პირდაპირი მომხმარებლების და რეგიონების ფაქტიური ელ. მოხმარების სტატისტიკა 2019/2020 წწ

აპრილი	პირდაპირი მომხმარებლები	თელავი	აფხაზეთი	სამხრეთი	კახეთი	აჭარა	სამეგრელო	გურია	იმერეთი	რაჭა	მესხეთი	შიდა ქართლი	მცხეთა-მთიანეთი	ქვემო ქართლი	სულ "ენერჯოპრო"	ჯამი
2019 წ.	143.6	221.2	187.1	12.8	30.7	49.3	47.9	9.3	102.8	9.8	27.8	32.5	22.9	125.9	458.4	1,010
2020 წ.	222.8	170.4	221.5	12.9	28.3	36.7	42.3	8.8	63.5	9.7	25.4	29.3	17.0	83.0	324.3	939
%	55.2%	-23.0%	18.4%	0.6%	-7.8%	-25.5%	-11.7%	-5.3%	-38.3%	-0.7%	-8.6%	-9.7%	-26.0%	-34.0%	-29.3%	-7.1%





აჭარა	სამეგრელო
49.3	47.9
36.7	42.3
-25.5%	-11.7%

მოგვიანებით საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გაამჟღავნა პრეზიდენტის განკარგულება და 31 მარტიდან 10 მაისამდე გამოაცხადა საკომენდანტო საათი მთელ ტერიტორიაზე საღამოს 9 საათიდან დილის 6 საათამდე. ყველა სახის საზოგადოებრივი ტრანსპორტი მათ შორის მეტრო გაჩერდა. ორგანიზაციები გადავიდნენ მუშაობის ონლაინ-რეჟიმზე. ამით აიხსნება ენერჯის ბრდა პირ-დაპირ მომხმარებლებში და შემცირება

1-4*)

პირდაპირი მომხმარებლების და რეგიონების ფაქტიური ელ.მოხმარების სტატისტიკა 2019/2020 წწ

მაისი	პირდაპირი მომხმარებლები	თელასი	აფხაზეთი	სამჩხარაბლო	კახეთი	აჭარა	სამეგრელო	გურია	იმერეთი	რაჭა	მესხეთი	შიდა ქართლი	მცხეთა-მთიანეთი	ქვემო ქართლი	სულ 'ენერჯოპრ	ჯამი
2019 წ.	312.9	216.1	113.6	9.4	25.2	39.7	35.6	8.4	62.1	9.4	22.4	25.9	20.3	95.4	341.0	984
2020 წ.	224.9	169.0	167.6	10.3	27.7	36.9	39.5	8.5	62.3	9.6	25.5	25.5	16.9	80.9	328.5	890
%	-28.1%	-21.8%	47.5%	9.8%	9.7%	-7.1%	11.0%	1.2%	0.2%	2.1%	14.1%	-1.5%	-16.5%	-15.2%	-3.7%	-9.5%





აჭარა	სამეგრელო
39.7	35.6
36.9	39.5
-7.1%	11.0%

მაისის თვე გამორჩეული იყო იმით, რომ ნელ–ნელა მოხდა ქვეყნის ახალ პირობებთან ადაფტაცია: პირდაპირმა და მსხვილმა მომხმარებლებმა შეამცირეს წარმოება და შესაბამისად ენერგომოხმარება, ხოლო მოსახლეობამ კი გაზარდა ელექტროენერჯის მოხმარება, ჯამში კი გასულ წელთან შედარებით მოხმარება შემცირდა 9,5%–ით. აჭარაში, როგორც ტურისტულ მხარეში, შეიმჩნევა უკვე ტურისტების ნაკლებობა და შესაბამისად 7,1%–ით ელექტრომომხმარების შემცირება შარშანდელთან შედარებით.

1–5*)

პირდაპირი მომხმარებლების და რეგიონების ფაქტიური ელ.მომხმარების სტატისტიკა 2019/2020 წწ

იენისი	პირდაპირი მომხმარებლები	თელასი	აფხაზეთი	სამხარაბლო	კახეთი	აჭარა	სამეგრელო	გურია	იმერეთი	რაჭა	მესხეთი	შიდა ქართლი	მცხეთა-მთიანეთი	ქვემო ქართლი	სულ "ენერჯოპრო"	ჯამი
2019 წ.	324.5	251.8	108.1	7.7	25.3	47.0	38.5	8.6	70.6	9.8	21.7	30.3	22.7	99.6	379.5	1,064
2020 წ.	206.8	203.7	133.5	7.6	28.5	39.6	41.9	8.8	68.8	8.9	26.5	28.4	18.5	85.9	357.0	901
%	-36.3%	-19.1%	23.5%	-1.8%	12.6%	-15.7%	8.8%	1.7%	-2.5%	-9.2%	22.1%	-6.3%	-18.5%	-13.8%	-5.9%	-15.3%




აჭარა	სამეგრელო
47.0	38.5
39.6	41.9
-15.7%	8.8%

ფრანგული ნავთობგაბური კომპანიის Total-ის პროგნოზის თანახმად 2030 წლისათვის დამთავრდება ნავთობის ეპოქა. ასევე 2050 წლისათვის მნიშვნელოვნად გაიზრდება მოთხოვნილება ელექტროენერჯიაზე და იგი 40%-ს მიაღწევს. სადღეისოდ მისი წილი 20%-ს შეადგენს. Total-ს განზრახული აქვს ინვესტირება განახორციელოს როგორც მზისა და ქარის ენერჯეტიკაში, ასევე ახალი თაობის აკუმულატორების შექმნას და ავტომობილებისათვის დამმუხტავი სააპარატების, ძლიერების, ანალოგების

1-6*)

პირდაპირი მომხმარებლების და რეგიონების ფაქტური ელ.მომხმარების სტატისტიკა 2019/2020 წწ

ივლისი	პირდაპირი მომხმარებლები	თელასი	აფხაზეთი	სამხაჩხალა	კახეთი	აჭარა	სამეგრელო	გურია	იმერეთი	რაჭა	მესხეთი	შიდა ქართლი	მცხეთა-მთიანეთი	ქვემო ქართლი	სულ "ენერჯოპრო"	(მლნ კვტსთ)
2019 წ.	334.4	252.0	117.4	8.0	28.8	45.6	42.6	9.2	72.4	9.1	22.4	34.6	26.7	100.9	403.5	1,107
2020 წ.	165.4	236.4	145.1	7.9	31.7	46.9	47.0	9.4	81.3	10.6	28.1	33.8	19.9	100.1	410.0	957
%	-50.5%	-6.2%	23.6%	-2.1%	10.1%	2.9%	10.3%	2.2%	12.3%	15.4%	25.7%	-2.3%	-25.5%	-0.8%	1.6%	-13.6%



აჭარა	სამეგრელო
45.6	42.6
46.9	47.0
2.9%	10.3%

ივლისის თვეში 2020 წლის ელექტრომომხმარება 13,6 %—ით ნაკლები იყო 2019 წლის მოხმარებასთან შედარებით და ეს, ძირითადად გაჩერებული პირდაპირი მომხმარებლის გამო (კაფე–რესტორნები, გასართობი ორგანიზაციები, სასტუმროები და სხვა), რომელ–თა დატვირთვა 50,5 %—ით შემცირდა შარშანდელთან შედარებით. აჭარაში პანდემიის აფეთქებას მაღალ დონეზე ადგილი ჯერ არა აქვს, თუმცა ტურისტების ნაკადი, კაფე–ბარებსა და სასტუმროებში საარსებო საშუალებების მოხმარებასთან დაკავშირებით.



1–7*)

პირდაპირი მომხმარებლების და რეგიონების ფაქტიური ელ.მომხმარების სტატისტიკა 2019/2020 წწ

აგვისტო

(მლნ.კვტსთ)

	პირდაპირი მომხმარებლები	თელასი	აფხაზეთი	სამხარაბლო	კახეთი	აჭარა	სამეგრელო	გურია	იმერეთი	რაჭა	მესხეთი	შიდა ქართლი	მცხეთა-მთიანეთი	ქვემო ქართლი	სულ "ენერგოპრო"	ჯამი
2019 წ.	308.5	242.7	127.5	8.0	29.5	56.3	46.2	9.4	78.7	9.6	22.3	33.3	27.3	97.0	423.8	1,103
2020 წ.	182.9	208.8	166.5	7.8	30.8	44.6	45.6	9.4	80.9	10.8	27.5	32.5	19.9	94.7	402.4	961
%	-40.7%	-14.0%	30.6%	-3.0%	4.4%	-20.8%	-1.3%	0.4%	2.8%	12.0%	23.6%	-2.4%	-27.1%	-2.4%	-5.0%	-12.9%



აჭარა	სამეგრელო
56.3	46.2
44.6	45.6
-20.8%	-1.3%


აგვისტოს თვეში მკვეთრად გაიზარდა COVID-19-ით ინფიცირებულთა რიცხვი აჭარაში. მარტო აქ ელექტრომომხმარება შემცირდა 20,8%-ით, ხოლო ქვეყანაში-12,9%-ით. მთავრობამ ელ.მომხმარების 2020 წლის საპროგნოზო მაჩვენებელი შეამცირა. თუ 2020 წელს ეკონომიკის სამინისტრო 13,994 მლრდ კვტსთ ელექტრო-მომხმარებას ელოდა, ახლა ეს მაჩვენებელი 12,5 მლრდ კვტსთ-ს შეადგენს და 10,3%-ით, ანუ 1,5 მლრდ კვტსთ-ით ნაკლებია მიუხედავად იმისა, რომ ყველა მარეგულირებელი ჰესის წყალსაცავი თითქმის

1-8*)


რდაპირი მომხმარებლების და რეგიონების ელ.მომხმარების სექტორის თვის სტატისტიკა 2019-2020 წწ (ოპერატიული მონაცემი)

1-30 სექტემბერი

	პირდაპირი მომხმარებლები	თელასი	აფხაზეთი	სამაჩაბლო	კახეთი	აჭარა	სამეგრელო	გურია	იმერეთი	რაჭა	შესხეთი	შიდა ქართლი	შსხეთა-მთიანეთი	ქვემო ქართლი	სულ "ენერჯიპრო"	ჯამი
2019 წ.	289.8	209.8	115.2	8.5	27.3	44.3	38.2	8.7	65.5	8.6	22.8	28.9	17.1	88.1	349.5	849
2020 წ.	170.9	211.8	174.2	7.8	28.4	36.6	43.0	9.1	76.0	10.3	26.1	30.9	17.7	90.9	369.0	752
%	-41.0%	1.0%	51.2%	-8.0%	4.0%	-17.4%	12.6%	4.6%	16.0%	20.5%	14.5%	6.9%	3.5%	3.2%	5.6%	-11.5%



1-9*)



აჭარა	სამეგრელო
44.3	38.2
36.6	43.0
-17.4%	12.6%

სექტემბერში ელ.ენერჯის მოხმარება დედაქალაქში და რეგიონებში გაზრდილი მაჩვენებლებით ხასიათდებოდა, პირდაპირი მომხმარებლებისა და 2 რეგიონის: სამაჩაბლოსა და აჭარის გარდა. ეს იმაზე მეტყველებს, რომ ეკონომიკის დარგები დაბალი ინტენსივობით ფუნქციონირებდნენ. ამიტომაც ელ.ენერჯის მთლიანი მოხმარება ამ პერიოდის შარშანდელ მაჩვენებელთან შედარებით 11,5%-ით ნაკლები იყო.

2019 წ. 2020 წ.

შედეგები და დასკვნები

1. ასოცირების შეთანხმებით აღებული ჩარჩო ღირებულებების შესასრულებლად მთავრობას უნდა ჰქონდეს კონკრეტული გეგმა, სადაც იქნება განწერილი 2020 წლის ღონისძიებები ვადებით და პასუხისმგებელი პირებით;
2. ასეთი გეგმა დღეისათვის არც რეგიონებს აქვთ და არც მუნიციპალიტეტებს;
3. 2020 წელი – გვალვიანია, რაც გამოწვეულია კლიმატური ცვლილებებით. ამის გამო მარეგულირებელი ჰესების წყალსაცავებში ვერ დაგროვდა ზამთარში მუშაობისთვის წყლის საჭირო მარაგი;
4. კლიმატური მოდელის პროგნოზის მიხედვით საქართველოში მოსალოდნელია **გათბობის** სავარაუდო პერიოდის შემცირება და **გაგრილების** სავარაუდო პერიოდის გაზრდა. თუმცა საშუალოვადიან პერსპექტივაში, სამომავლოდ ენერჯიაზე დანახარჯები შედარებით ზომიერი იქნება, რადგან გაგრილებაზე გაზრდილ საჭიროებას ბაფხულში ნაწილობრივ დააკომპენსირებს ზამთარში გათბობაზე შემცირებული მოთხოვნა. კლიმატის ზემოქმედება განსხვავდება მუნიციპალიტეტების მიხედვით. ზოგ მუნიციპალიტეტში მოსალოდნელი კლიმატის ცვლილება მოითმანს სარგებელს შემცირებული გათბობის პერიოდის სახით, ზოგ მუნიციპალიტეტებში კი მოსალოდნელია გაგრილების პერიოდის გაზრდა და შესაბამისად, ელექტროენერჯიის მოხმარების მომატება (ვახეთისა და იმერეთის რეგიონის მუნიციპალიტეტებში).
საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში კლიმატის ცვლილებას შეუძლია გავლენა იქონიოს ქვეყნის მასშტაბით მომხმარებლებისთვის მისაწოდებელი გამომუშავებული ელექტროენერჯიის რაოდენობაზე, კერძოდ, ელექტროსადგურების (განსაკუთრებით ჰიდროელექტროსადგურების) გამომუშავებაზე, რომლის შემცირების შემთხვევაში გარდაუვალია ქვეყანაში წარმოებული ელექტროენერჯიის სერიოზული დეფიციტის წარმოქმნა. აღნიშნული მნიშვნელოვნად გაზრდის იმპორტის საჭიროებას, რაც პოტენციურად ზეგავლენას იქონიებს ქვეყნის ენერგოდამოუკიდებლობაზე და სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე;
5. როგორც კვლევიდან ჩანს, **COVID-19** პანდემიის შედეგად მნიშვნელოვნად შემცირდა ქვეყნის ენერგომოხმარება. ამის მიუხედავად, გვალვიანი ამინდების გამო ვერ მოხერხდა მარეგულირებელი ჰესების წყალსაცავების შევსება, რაც მოითხოვს საქართველოს ენერგოსისტემისაგან ახალი რეჟიმების შედგენას მომავალი 2020/2021 წლების ზამთრის პირობებში მუშაობისათვის. გვალვით განპირობებული ჰესებიდან არ მიწოდებული ელექტროენერჯია დაბალანსდება თბოელექტროსადგურების მიერ გამომუშავებული და იმპორტირებული ენერჯიით, რაზედაც ახლავა აუცილებელი თადარიგის დაჭერა.

რეკომენდაციები

1. ვინაიდან COVID-19 ვირუსის საწინააღმდეგო ვაქცინა ჯერ არ არის დამზადებული და დიდი ალბათობით 2020 წლის ბოლომდე მოსახლეობის ვაქცინაცია ვერ მოხერხდება, შექმნილ პირობებთან ადაპტაციის მიზნით, მთავრობამ (ენერგოსისტემამ) დაუყონებლივ უნდა შეიმუშავოს **ახალი ენერგორეჟიმები და ენერგობალანსები** (გადაამუშავოს არსებულიები).
2. ვინაიდან კლიმატის ცვლილების გამო ქვეყნის მდინარეებში წყლის ჩამონადენი შეიცვალა (შემცირდა), ხოლო ჰესებზე, მათ შორის მცირე ჰესებზე, ენერჯის წარმოების პროგნოზირებისათვის აუცილებელია მდინარეში (რომელზეც კონკრეტული ჰესია აშენებული) წყლის ხარჯის ზუსტი ცოდნა, მაგრამ სათანადო საგუშაგოები–პოსტები მოშლილია და არ მუშაობენ, **საჭიროა ამ პოსტების ამოქმედება ან ახლის აშენება**.
3. ვინაიდან ამ პროექტის ფარგლებში ვერ მოიძებნა ასოცირების შეთანხმებით აღებული ჩარჩო დირექტივების შესასრულებლად კონკრეტული გეგმა, საჭიროა მთავრობამ (ეკონომიკის სამინისტრომ, რეგიონების მთავრობამ, მუნიციპალიტეტების მერიებმა) შეიმუშაოს ასეთი **გეგმა კონკრეტული ღონისძიებებით, პასუხისმგებელი შემსრულებლებით და შესრულების ვადებით**.
4. ვინაიდან ასოცირების შეთანხმებით აღებული ვალდებულებით 2024 წლამდე საქართველომ უნდა დანერგოს ენერჯის განახლებადი წყაროები გარკვეული მოცულობით და ქვეყნის ყველა სახის მეურნეობებში გაატაროს ენერგოდამზოგავი ღონისძიებები, საჭიროა ამ ღონისძიებების **გეგმა კონკრეტული ჩამონათვალთ, პასუხისმგებელი შემსრულებლებით და შესრულების ვადებით**.
5. ვინაიდან ფართო საზოგადოებისათვის არ არის ცნობილი სემეკის მიერ დამტკიცებული ახალი რეგულაციები განახლებადი წყაროების ქსელოთან მიერთებაზე, როდესაც 500 კილოვატამდე სიმძლავრის შეიძლება ჩაერთოს ქსელში ნეტო–აღრიცხვის მეთოდით, **საჭიროა მოსახლეობის გათვინობიერება ამ საკითხში**.
6. ვინაიდან საქართველო წლის განმავლობაში მოიხმარს **4, 7 მლნ. ტონას (ნ.ე.)** ენერგეტიკულ რესურსს, აქედან **3,8 მლნ ტონა (ნ.ე.)**–იმპორტირებულია და მხოლოდ **0,922 მლნ.ტონა** საკუთარია ჰესებში გამომუშავებული ელექტროენერჯის და მოპოვებული ნახშირის სახით, ეს იმას ნიშნავს, რომ საზღვარგარეთ ყოველწლიურად ნაყიდი ელექტროენერჯის, გაზის, ბენზინის და სხვა ნავთობპროდუქტის შესაძენად, საქართველომ უნდა გადაიხადოს ასობით მილიონი დოლარი. ენერგეტიკული უსაფრთხოების ასამაღლებლად **საჭიროა ენერჯის იმ ახალი წყაროების აშენება (მზისა და ქარის ელექტროსადგურები), რომლებიც საკუთარ რესურსს გამოიყენებენ**.

გამოყენებული ლიტერატურა

1. 1–1*) – 1–9*) ესკო–ს ოფიციალური ვებ–გვერდის 2020 წლის სტატისტიკური მონაცემები.
2. 1–10*) ესკო–ს ოფიციალური ვებ–გვერდის 2020 წლის სექტემბრის თვის ბალანსი.



3. ახალი ამბები.
4. ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის. (დანართი XXV, ენერჯეტიკა)

. საქართველოს

საგარეო საქმეთა სამინისტრო, 15.09.2018, გვ.62 – 65.
